[Type

საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია

„დამტკიცებულია“
სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით
(ოქმი №5, 30 ოქტომბერი 2015 წ.)

შესწორებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2022 წლის 20
მაისის სხდომაზე (ოქმი №4)

შესწორებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2025 წლის თებერვლის

სხდომაზე (ოქმი №10)

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახემლწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში – სპორტის უნივერსიტეტი) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის – სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების საერთო წესებს.

1.2. სამაგისტრო ნაშრომი არის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სამეცნიერო-კვლევითი ნაწილი, რომელსაც მაგისტრანტი ამზადებს მე-4 სემესტრის განმავლობაში, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის ღია სხდომაზე საჯარო დაცვისათვის;

1.3. ნაშრომი ასახავს მაგისტრანტის ცოდნის დონეს და სათანადო კომპეტენციას, არჩეული სპეციალობის სფეროში; ასევე შემოქმედებითი და კვლევის უნარ-ჩვევების შესაბამისობას, სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

1.4. სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა დაკონკრეტებულია თითოეული პროგრამის სასწავლო გეგმაში;

მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის პროცედურები და დამტკიცების წესი

2.1. მაგისტრანტი კვლევითი ინტერესიდან გამომდინარე, ირჩევს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს. ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში, ამ ორ სუბიექტს შორის ხდება სამაგისტრო ნაშრომის სამუშაო სათაურის ფორმულირება;

2.2. სამაგისტრო ნაშრომში განხილული უნდა იყოს აქტუალური საკითხი და მასში აშკარად უნდა იკვეთებოდეს კვლევითი ელემენტები;

2.3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, შერჩეული სამაგისტრო ნაშრომის სამუშაო დასახელებას და ხელმძღვანელის ვინაობას წარუდგენს დეკანს (IV სემესტრის არაუგვიანეს I კვირისა);

შენიშვნა: მე-7 კვირის ბოლოს, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი დეკანატს წარუდგენს სათაურების საბოლოოდ დაზუსტებულ ვერსიებს.

2.4. შერჩეული სამაგისტრო ნაშრომის სამუშაო სათაურს, შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის წარდგინებით ამტკიცებს

ფაკულტეტის საბჭო, აკადემიური კალენდრით განსაზღვრული სალექციო პერიოდის დაწყებიდან არაუგვიანეს II კვირისა.

მუხლი 3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

3.1. მაგისტრანტი ირჩევს თემის ხელმძღვანელს, რომელიც შეიძლება იყოს: ა) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი;
ბ) მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცალკეული პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად შეიძლება დაშვებულ იქნას შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

3.3. პირი არ შეიძლება იყოს სამზე მეტი მაგისტრანტის ხელმძღვანელი, ერთი სემესტრის განმავლობაში.

მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ვალდებულებები

4.1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ვალდებულებები:

ა) სამეცნიერო ხელმძღვანელობა – უზრუნველყოს მაგისტრანტისთვის კვლევითი და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა, მიმართულება და რეკომენდაციები სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში.
ბ) კონსულტაციის გაწევა – რეგულარულად შეხვდეს მაგისტრანტს, გაუწიოს კონსულტაცია კვლევითი საკითხების, წყაროების მოძიებისა და ანალიზის, თეორიული ჩარჩოს განსაზღვრის და შედეგების ინტერპრეტაციის შესახებ.
გ) სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი და სტრუქტურული მონიტორინგი – დააკვირდეს ნაშრომის შინაარსს, აკადემიურ სტილსა და სტრუქტურას, რათა ის აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტის სტანდარტებს.
დ) პლაგიატის პრევენცია – მაგისტრანტს დაეხმაროს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვაში და უზრუნველყოს, რომ ნაშრომი არ შეიცავდეს პლაგიატს.
ე) გრაფიკის დაცვა – დაეხმაროს მაგისტრანტს კვლევის დაგეგმვაში, ეტაპობრივი ვადების განსაზღვრაში და დროული შესრულების კონტროლში.
ვ) სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი შეფასება – ნაშრომის საბოლოო ვერსიის წარდგენამდე შეაფასოს მისი ხარისხი, შესთავაზოს მაგისტრანტს საჭირო შესწორებები და გაუწიოს რეკომენდაციები.
ზ) დაცვისთვის მომზადება – მოამზადოს მაგისტრანტი ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად, დაეხმაროს პრეზენტაციის სტრუქტურის და ძირითადი მიგნებების ჩამოყალიბებაში.
თ) უნივერსიტეტის რეგულაციების დაცვა – უზრუნველყოს, რომ სამაგისტრო ნაშრომი და მისი ხელმძღვანელობა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის შიდა აკადემიურ წესებსა და ეთიკის ნორმებს.
ი) მოხსენებებისა და პუბლიკაციების მხარდაჭერა – წაახალისოს მაგისტრანტი კვლევითი შედეგების კონფერენციებზე წარდგენაში და აკადემიურ გამოცემებში გამოქვეყნების მხრივ.

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე გასავლელი ტექნიკური პროცედურები:

5.1. მაგისტრანტმა თემაზე მუშაობა უნდა დაიწყოს IV სემესტრის პირველივე კვირიდან, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და თემის არჩევისთანავე;

5.2. მე-10 კვირის პირველ ნახევარში ხდება სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვა კათედრების/დეპარტამენტების ფარგლებში, არაუმცირეს სამი აკადემიური/მოწვეული პერსონალის წინაშე, სადაც მაგისტრანტი წარადგენს სამაგისტრო ნაშრომის სათაურს, მიზანს, კვლევის ამოცანებს და ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს (დამუშავებული წყაროების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა). ეს აქტივობა ატარებს სარეკომენდაციო-საკონსულტაციო ხასიათს, რომელშიც სტუდენტი ქულობრივად არ ფასდება. წინასწარი დაცვა ფორმდება შესაბამისი ოქმით.

5.3. მე-16 კვირის პირველ ნახევარში, მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომი, უნივერსიტეტის მიერ მოწმდება პლაგიატზე „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმების და პროცედურების“ შესაბამისად. პლაგიატის არსებობის შემთხვევაში, მაგისტრანტს მიეთითება პლაგიატის არსებობის შესახებ და ერთხელ უბრუნდება ნაშრომი შესასწორებლად.

- ნაშრომში, პლაგიატის განმეორებით აღმოჩენის შემთხვევაში, მაგისტრანტს უუქმდება სამაგისტრო ნაშრომი და კარგავს მისი დაცვის უფლებას (იხ. „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმები და პროცედურები“).

5.4. მე-17 კვირის პირველ ნახევარში, მაგისტრანტის ნაშრომი კიდევ ერთხელ მოწმდება პლაგიატზე. ნაშრომში პლაგიატის განმეორებით დადასტურების შემთხვევაში, მაგისტრანტი არ დაიშვება ნაშრომის დაცვაზე და ვალდებულია, შემდეგ სემესტრში აირჩიოს ახალი თემა;

5.5. თუ ნაშრომმა განმეორებით პლაგიატზე შემოწმების შედეგად დააკმაყოფილა სპეციალური მოთხოვნები, მაშინ, მაგისტრანტი შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში წარადგენს სრულყოფილად გაფორმებული, აკინძული და ყდაში ჩასმული ნაშრომის ერთ ეგზემპლარს, დისკზე ჩაწერილ ელექტრონულ ვერსიასთან ერთად, რომელიც იმავდროულად, დაცვამდე 2 კალენდარული დღით ადრე, ფაკულტეტის მიერ წარედგინება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრებს, წინასწარ განსახილველად;

5.6. არაუგვიანეს მე-17 კვირისა, ფაკულტეტის დეკანის მიერ, საკითხის ინიცირების საფუძველზე, სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტ(ებ)ს ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო;

5.7. მე-18 კვირის პირველ ნახევარში, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, სამაგისტრო ნაშრომი გადაეგზავნება რეცენზენტს, რომელიც რეცენზიას წარმოადგენს 3 კალენდარული დღის ვადაში;

- ✔ მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვება შესაძლებელია რეცენზენტის დადებითი დასკვნის შემთხვევაში;
- ✔ რეცენზენტის შენიშვნების გათვალისწინების და ნაშრომში ცვლილებების შეტანის უფლება მაგისტრანტს არ აქვს. თუმცა, მას აქვს შესაძლებლობა, ნაშრომის დაცვამდე მინიმუმ 1 დღით ადრე გაეცნოს რეცენზენტის შენიშვნებს და დასკვნას.
  - რეცენზენტი უნდა იყოს მხოლოდ შესაბამისი პროფილის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სამაგისტრო ნაშრომის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია რეცენზენტად დაშვებულ იქნას

განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირიც. ის შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელი, ასევე მოწვეული პირი;

- რეცენზენტი, ნაშრომის შესახებ რეცენზიას წარმოადგენს წერილობითი სახით და შესაბამისი დასკვნით.
- რეცენზიაში ასახული უნდა იყოს:
  - ✔ ნაშრომის სათაური;
  - ✔ მაგისტრანტის ვინაობა;
  - ✔ ნაშრომის მიმოხილვა (მოცულობა, არქიტექტონიკა, გაფორმება და ა.შ);
  - ✔ რეცენზიაში აღნიშნული უნდა იყოს თუ რამდენად აკმაყოფილებს წარმოდგენილი ნაშრომი მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს (ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეები, შენიშვნებითა და რეკომენდაციებით);
  - ✔ ნაშრომის შინაარსის შესაბამისობა, სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებთან;
  - ✔ ნაშრომის ზოგადი შეფასება (ნიშნის გარეშე);
  - ✔ რეცენზენტის პირადი დასკვნა, მაგისტრანტისთვის სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების შესახებ.
- უნივერსიტეტი ვალდებულია, მაგისტრანტს გააცნოს რეცენზენტის დასკვნა ნაშრომის შესახებ, საჯარო დაცვამდე 1 კვირით ადრე;
- რეცენზენტის დასწრება საჯარო დაცვაზე არ არის სავალდებულო, თუმცა კომისიას ან მაგისტრანტს შეუძლია მისი მოწვევა და სხდომაზე დასწრება.

5.8.მე-19 კვირას ხდება ნაშრომის საბოლოო დაცვა.

- ✔ დაცვაზე წარდგენილ სამაგისტრო ნაშრომს თან ერთვის:

  ა) პლაგიატის პროგრამაზე გატარებული სამაგისტრო ნაშრომის დასკვნა; ბ) რეცენზენტების დასკვნა.

- ✔ სამაგისტრო ნაშრომების დაცვის თარიღი მტკიცდება სფასსსუ-ის რექტორის ბრძანებით;

- ✔ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი, დაცვის თარიღისა და დროის შესახებ ინფორმაციას, წერილობით ან ელექტრონული საშუალებით აწვდის მაგისტრანტს, დაცვამდე არაუგვიანეს 2 კვირისა;

- ✔ სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე შესაძლებელია მოწვეულ იქნენ შესაბამისი ორგანიზაციის წამყვანი სპეციალისტები (დამსაქმებლები).

  შენიშვნა: სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს IV სემესტრში. მაგისტრანტი უფლებამოსილია ასევე, სამაგისტრო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, სამაგისტრო ნაშრომი დაიცვას V სემესტრში. ამ შემთხვევაში, მაგისტრანტი გასული უნდა იყოს წინასწარ დაცვაზე. მან დეკანატს უნდა წარუდგინოს ანგარიში, სადაც მითითებული უნდა იყოს წინასწარი დაცვის ამსახველი ოქმი (დანართის სახით) და შემდგომ პერიოდში შესრულებული სამუშაოს აღწერა. მაგისტრანტმა უნდა დაასაბუთოს სამაგისტრო ნაშრომის დასრულებისთვის დამატებითი დროის მიცემის საჭიროება. წარმოდგენილ ანგარიშს მაგისტრანტთან ერთად ხელს უნდა აწერდეს მისი ხელმძღვანელი. ამ ანგარიშს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო, რომელიც დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტს ნაშრომის დაცვის მომდევნო სემესტრში გადატანის მიზანშეწონილობის საკითხს.

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა:

6.1. სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიას ადგენს ფაკულტეტის დეკანი. კომისიაში უნდა შედიოდეს არანაკლებ სამი წევრი და დამატებით კომისიის მდივანი. ყოველი მათგანი ვალდებულია, ესწრებოდეს დაცვის პროცესს. ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით, განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. არ შეიძლება, რომ რომელიმე

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ან/და რეცენზენტი, იყოს დაცვის კომისიის წევრი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა არის საჯარო.

6.2. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი, საჯარო დაცვაზე დამსწრე საზოგადოებას აცნობს მაგისტრანტის ვინაობას, სამაგისტრო თემის დასახელებას, ხელმძღვანელისა და ნაშრომის რეცენზენტის ვინაობას;

6.3. სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი დებულებების გასაცნობად, მაგისტრანტი აკეთებს მაქსიმუმ 15 წუთიან მოხსენებას;

- ✔ მაგისტრანტის მოხსენებაში მოკლედ უნდა იყოს ჩამოყალიბებული შერჩეული საკვლევი თემატიკის ირგვლივ არსებული მოსაზრებები, მიზანი, ამოცანები, კვლევის შედეგები და ანალიზი, დასკვნები და მათი თეორიული და პრაქტიკული ღირებულებები;
- ✔ მოხსენების პროცესში მაგისტრანტს შეუძლია საილუსტრაციო მასალების გამოყენება, ტექნიკური საშუალებების დახმარებით;
- ✔ მაგისტრანტის მიერ მოხსენების დამთავრების შემდეგ, კომისიის წევრები და დამსწრე საზოგადოება უფლებამოსილია, მაგისტრანტს დაუსვას შეკითხვები. მაგისტრანტი ვალდებულია, თანმიმდევრულად გასცეს პასუხი თითოეულ შეკითხვას;
- ✔ მაგისტრანტს ეძლევა დასკვნითი სიტყვა. ამით სამაგისტრო ნაშრომის დაცვა დამთავრებულია.

მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

7.1. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრთა შეფასებას (აღნიშნული პროცესი გულისხმობს დაცვის კომისიის წევრთა მიერ, ნაშრომის ყველა კომპონენტის შეფასებას და ასევე დაცვის პროცესის შეფასებას).

7.2. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- A ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- B ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- C კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- D დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- E საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- FX ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს დასაცავად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება

  დამატებით დაცვა ინიშნება შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
- F ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სამაგისტრო ნაშრომი ახლიდან აქვს შესასრულებელი.
- დამატებით დაცვა ინიშნება შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

7.3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები, სამაგისტრო ნაშრომს აფასებენ 0-100 ქულით, შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- შინაარსობრივ-სტრუქტურული შესაბამისობა, სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნებისადმი – 0-20 ქულა;
  - ✔ სტრუქტურა – 3 ქულა;
  - ✔ შინაარსი (მიზნის, ამოცანების, კვლევის შედეგების, დასკვნების და რეკომენდაციების ურთიერთშესაბამისობა) – 10 ქულა;
  - ✔ კვლევის მეთოდები – 3 ქულა;
  - ✔ თეორიული მასალის (რეფერატული ან მიმოხილვითი ნაშრომების შემთხვევაში) ან სტატისტიკური მონაცემების დამუშავების საკითხი – 2 ქულა;
  - ✔ ენობრივი გამართულობა – 2 ქულა.

- საკვლევი პრობლემა[1], კვლევის აქტუალობა, მიზანი და ამოცანები – 0-20 ქულა;
  - ✔ საკვლევი პრობლემა და კვლევის აქტუალობა – 0-10 ქულა;
  - ✔ მიზანი და ამოცანები – 0-10 ქულა.

- კვლევის შედეგები და დასკვნები – 0-20 ქულა;
  - ✔ კვლევის შედეგები – 0-10 ქულა;
  - ✔ დასკვნები – 0-10 ქულა.

- ნაშრომის პრეზენტაცია – 0-20 ქულა;
  - ✔ ნაშრომის ზეპირი მოხსენება – 0-10 ქულა;
  - ✔ პრეზენტაციის ვიზუალური მხარე – 0-10 ქულა.

- მსჯელობა და შეკითხვებზე გაცემული პასუხები (მოხსენებისას, კითხვების დასმის დროს, ანდა დისკუსიისას, საკუთარი პოზიციების არგუმენტირებული გამყარება, პოზიციის დაცვა) – 20 ქულა.
  - ✔ მსჯელობა / შეკითხვებზე გაცემული პასუხები – 0-20 ქულა.

7.4. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის თითოეული წევრის მიერ, მინიჭებულ ქულათა ჯამის საშუალო არითმეტიკულით.

7.5. სამაგისტრო ნაშრომი მაგისტრანტს შესრულებულად ჩაეთვლება თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას;

7.6. სამაგისტრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს 1 თვის ვადაში;

7.7. სამაგისტრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას. მას ენიჭება უფლება, შეარჩიოს ახალი თემა, ახალი ხელმძღვანელი და სამაგისტრო ნაშრომი დაიცვას კომისიის წინაშე შემდეგ სასწავლო წელს;

7.8. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები ვალდებულნი არიან, ბოლომდე დაესწრონ

სამაგისტრო ნაშრომების დაცვებს, აქტიურად მონაწილეობდნენ კამათში,

[1] სამაგისტრო ნაშრომი არ შეიძლება იყოს რეფერატული ტიპის ნამუშევარი.

დაცვების დამთავრების შემდეგ, კომისიის დახურულ სხდომაზე შეაჯამონ ისინი და ინდივიდუალურად შეაფასონ თითოეული სამაგისტრო ნაშრომი;

7.9. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასების შესახებ, ინფორმაცია ეცნობება მაგისტრანტს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა;

7.10. კომისიის მდივანი ადგენს სამაგისტრო ნაშრომ(ებ)ის შეფასების ოქმს და წარუდგენს დეკანს შემდგომი რეაგირებისთვის;

7.11. უნივერსიტეტის მაგისტრის დიპლომი წარმოადგენს მოქმედი სტანდარტების დაცვით გაფორმებულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს საქართველოში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის – მაგისტრატურის დამთავრებას;

7.12. კურსდამთავრებულზე მაგისტრის დიპლომთან ერთად, გაიცემა დიპლომის დანართი, რომელიც შევსებულია მოქმედი წესების დაცვით;

7.13. ნაშრომის დაცვის შედეგების მიმართ პრეტენზიის მქონე კურსდამთავრებულმა უნდა მიმართოს გათვალისწინებულ პროცედურებს/აპელაციას;

7.14. აპელაცია

- ✔ მაგისტრანტი, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაცნობიდან არაუგვიანეს 5 დღისა უფლებამოსილია, შეიტანოს აპელაციაზე განაცხადი შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით;
- ✔ სააპელაციო განაცხადის საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, რექტორი ქმნის სააპელაციო კომისიას, განსაზღვრავს თავმჯდომარეს და მდივანს;
- ✔ მაგისტრანტი ვალდებულია, განაცხადში მიუთითოს შეფასების რომელ კრიტერიუმში/კომპონენტში არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას;
- ✔ სააპელაციო კომისიის მიერ, საკითხის განხილვის პროცესზე დასწრების უფლებამოსილება გააჩნია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელსა და გასაჩივრებული კომპონენტის შეფასებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებით;
- ✔ სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 პირისგან. კომისიის ყველა წევრი უნდა ესწრებოდეს სხდომას;
- ✔ სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს:
  - ○ ა) დეკანი;
  - ○ ბ) შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი;
  - ○ გ) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი;
  - ○ დ) სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი;
  - ○ ე) სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი.
- ✔ სააპელაციო კომისია იღებს შემდეგი ტიპის გადაწყვეტილებას:
  - ○ ა) ნაშრომის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიაზე დაბრუნების და ხელახალი განხილვის შესახებ;
  - ○ ბ) მიღებული შეფასების დატოვების შესახებ;
  - ○ გ) დაუსაბუთებელი განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, სააპელაციო განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.
- ✔ სააპელაციო კომისია ვალდებულია, დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით.

✔ სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება არაუგვიანეს 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს მაგისტრანტს.

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება

8.1. სამაგისტრო ნაშრომს აქვს სტრუქტურა, რომელიც თემატიკის შესაბამისად შედგენილია მეცნიერ-ხელმძღვანელთან ერთად და მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

8.1.1. თავფურცელი. ის ფორმდება განსაზღვრული წესების დაცვით:

- გვერდის ზემოთ ნაწილში მიეთითება სამაგისტრო ნაშრომის სათაური (ცენტრირებული, 14 შრიფტი, Bold-ით);
- მის ქვემოთ იწერება მაგისტრანტის სახელი და გვარი (ცენტრირებული, 12 შრიფტი, Bold-ით);
- გვერდის შუა ნაწილში იწერება სტანდარტული ტექსტი – „სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე, შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“ (ცენტრირებული, 11 შრიფტი, დახრილად);
- შემდეგ, მიეთითება სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სამეცნიერო ხარისხი (ცენტრირებული, 11 შრიფტი);
- ქვემოთ იწერება სასწავლებლის დასახელება (საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ნაშრომის შესრულების ადგილი (ანუ ქალაქი) და მისი წარდგენის წელი (ცენტრირებული, 12 შრიფტი, Bold-ით). იხ. „დანართი 1“.

8.1.2. აბსტრაქტი – ის წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის მინიატურულ ვერსიას, სადაც შემჭიდროებული კონტექსტით წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევი პრობლემა და მიზანი, კვლევის პროცედურა (მოკლედ), შედეგები (წარმოდგენილი უნდა იყოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მონაცემები) და დასკვნები (ხაზი უნდა იყოს გასმული კვლევის მთავარ მიგნებებზე).

აბსტრაქტი, ნაშრომის მთლიანი ტექსტის მსგავსად, დაწერილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. ის განთავსდება თავფურცლის მომდევნო გვერდზე. აბსტრაქტის ბოლოს წარმოდგენილი უნდა იყოს ძირითადი საკვანძო სიტყვები;

8.1.3. სარჩევი (შინაარსი) – რომელშიც თანმიმდევრულად ასახულია ნაშრომის ტექსტის ყველა თავისა და ქვეთავის ზუსტი დასახელება, მათი დასაწყისი გვერდების ნომრის მითითებით მარჯვენა მხარეს;

8.1.4. შესავალი – წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, სადაც არაუმეტეს 2-3 გვერდზე დასაბუთებულია საკვლევი პრობლემა, კვლევის მნიშვნელობა, კვლევის მიზანი და ამოცანები. განსაზღვრულია კვლევის საგანი და ობიექტი;

8.1.5. კვლევის მეთოდები – აქ აღნიშნული უნდა იყოს:

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაც წარიმართა კვლევა;
- კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები;
- კვლევაში ჩართული პირები – ზოგადი მახასიათებლები, ვინ იღებდნენ მონაწილეობას, რა ნიშნით იქნენ შერჩეული და რომელი შერჩევა გამოიყენეს;

- გაზომვები – თუ რა ხელსაწყოების/ინსტრუმენტების გამოყენებით ხდებოდა გარკვეული მონაცემების აღება;
- სტატისტიკა – SPSS-ში ან სხვა სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზის პროგრამაში თუ როგორ იქნა მონაცემები დამუშავებული (მაგ. კორელაცია, რეგრესია, t კრიტერიუმი და ა.შ.);

8.1.6. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა – აქ მოყვანილი და განხილული უნდა იყოს სამაგისტრო ნაშრომის თემატიკასთან ახლოს მყოფი სამეცნიერო მიგნებები და მოცემულ სფეროში, საკითხის შესწავლის მხრივ არსებული ის ნაკლოვანებები, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის თემატიკას და მის აქტუალობას ამართლებს;

8.1.7. კვლევის შედეგები – აქ წარმოდგენილი უნდა იყოს მაგისტრანტის მიერ მიღებული მონაცემები, მწყობრი და ლოგიკური მიმდევრობით, ინტერპრეტაციის გარეშე;

8.1.8. კვლევის შედეგების განხილვა – მაგისტრანტის მიერ მიღებული შედეგების აღწერა, ანალიზი და ინტერპრეტირება, საკვლევ პრობლემაზე არსებულ ინფორმაციასთან მიმართებით;

8.1.9. დასკვნები – სრულად უნდა ეყრდნობოდეს მიღებულ მონაცემებს და წარმოადგენდეს ნაშრომის ძირითად მიგნებებს;

8.1.10. რეკომენდაციები – რომლებიც ფორმულირდება კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე და დასკვნებიდან გამომდინარე. ის საშუალებას იძლევა, კვლევის ძირითადი მიგნებები ეფექტურად დაინერგოს პრაქტიკაში;

8.1.11. გამოყენებული ლიტერატურა – ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელიც განსაზღვრული წესების დაცვით ფორმდება (იხ. ქვემოთ, „დანართი 2“);

8.2. დაცვის კომისიის წინაშე დასაცავად წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვნებს:

8.2.1. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 30 გვერდი. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი.

8.2.2. ნაშრომის ტექნიკური პარამეტრები:

- იბეჭდება A4 ზომის ფურცელზე;
- Sylfaen-ში;
- 12-იანი შრიფტით;
- სათაურების ზომა 14 (ცენტრირებული, Bold-ი);
- ქვეთავების – 12 (მარცხენა მხარეს, Bold-ი);
- სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5 ინტერვალი;
- ტექსტის გასწორება – მთელ სიგანეზე;
- გვერდის ველები მარცხნიდან 3.0 სმ. (1.19 Inch); ზემოდან, ქვემოდან და მარჯვნიდან 2.54 სმ. (1 Inch).

8.3. სამაგისტრო ნაშრომი სრულდება ქართულ ენაზე, ორთოგრაფიული და სტილისტური ნორმების დაცვით;

8.4. ნაშრომის ყველა გვერდი, სატიტულო გვერდის გარდა, უნდა დაინომროს თანმიმდევრობით. თითოეული გვერდის აღმნიშვნელი ნომერი, უნდა ეწეროს გვერდის ქვედა მარჯვენა კიდეში, არაბული ციფრებით (ზომა 11 შრიფტი);

8.5. ნაშრომის ყველა თავის და ქვეთავის დასახელება ჩართული უნდა იყოს სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან;

8.6. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი განთავსდება ნაშრომის ბოლოს, ანბანური თანმიმდევრობით და ინომრება. ჯერ იწერება ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ უცხოურ ენებზე გამოცემული წყაროები. მათი ჩამონათვალი კეთდება წესების დაცვით (APA-ს სტილი):

8.6.1. წიგნის მითითებისას საჭიროა დასახელდეს:

- ავტორ(ებ)ის გვარი და ინიციალები;
- გამოცემის წელი;
- წიგნის დასახელება (დახრილად);
- გამოცემის ქალაქი;
- გამომცემლობა.

8.6.2. სამეცნიერო სტატიის მითითებისას საჭიროა დასახელდეს:

- ავტორ(ებ)ის გვარი და ინიციალები;
- გამოცემის წელი;
- სტატიის სათაური;
- ჟურნალის სახელწოდება (დახრილად);
- ტომი, ნომერი;
- ჟურნალის ის გვერდები, რომლებზედაც მოცემული სტატიაა.

8.6.3. ინტერნეტ მასალების (ლინკი) გამოყენების შემთხვევაში:

- მასალის ავტორ(ებ)ის გვარი და ინიციალები;
- წელი;
- მასალის დასახელება (დახრილად);
- მასალის მოძიების თარიღი;
- ლინკი.

წყაროთა მითითების მაგალითები იხილეთ დანართი 2-ში.

8.7. პლაგიატის დაუშვებლობა

- პლაგიატი plagiatus (ლათ. მიტაცებული) ნიშნავს ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების, სტატისტიკური მონაცემების, კვლევის შედეგების და ა.შ. გამოყენებას, არასათანადო წესებით (ნაბეჭდი ან ელექტრონული წყაროს მითითების გარეშე).

8.8. კვლევის ფარგლებში ინფორმაციის მოპოვება, მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და ანონიმურობის პრინციპის დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვალდებულია, კვლევის ფარგლებში კვლევაში ჩართულ პირებთან მიმართებაში დაიცვას ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები. კერძოდ, კვლევა უნდა წარიმართოს ნებაყოფლობითობის, ინფორმირებულობის, გულწრფელობის, უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის ასპექტების გათვალისწინების ფონზე.
   - ✔ კვლევის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, კვლევაში ჩართული პირისგან იღებს ინფორმირებულ თანხმობას, წერილობითი ფორმით.

სამაგისტრო ნაშრომის სათაური

მაგისტრანტის სახელი და გვარი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე, შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სახელი გვარი, სამეცნიერო ხარისხი

საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი,

2025

წიგნის მითითება გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში (მაგალითები):

- ✔ ზუბიტაშვილი, გ. (2018). ძიუდოს თეორია და მეთოდიკა. თბილისი: ფაუნტეინ ჯორჯია.
- ✔ ბერიძე, ქ. (2023).ზოგადი და სპორტის ნუტრიციოლოგია. თბილისი: შპს „თბილისელები-პრინტი“.
- ✔ Kenney, W., Wilmore, J., Costill, D. (2021). Physiology of Sport and Exercise (8th Edition). United States: Human Kinetics.

სამეცნიერო სტატიის მითითება გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში (მაგალითები):

- ✔ Penglei, F. et al. (2024). Neuromuscular Control Strategies in Basketball Shooting: Distance-Dependent Analysis of Muscle Synergies. Journal of Sports Science and Medicine, 23(1), 571-580.
- ✔ Bongiovanni, T. Et al. (2024). Tracking body composition over a competitive season in elite soccer players using laboratory- and field-based assessment methods. Journal of Strength & Conditioning Research. 38(3):104-115.
- ✔ Weiß, M., Büttner, M., & Richlan, F. (2024). The Role of Sport Psychology in Injury Prevention and Rehabilitation in Junior Athletes. Behavioral Sciences. 14(3), 254-268. https://doi.org/10.3390/bs14030254

ინტერნეტ მასალის (ლინკი) მითითება გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში (მაგალითები):

- ✔ Cohn, P. (2019). Overcoming mental blocks in competition. [22.04.2019]. Internet Link: https://www.peaksports.com/sports-psychology-blog/overcoming-mental-blocks-in-competition/
- ✔ Mayo Clinic Staff. (2019). Stretching: Focus on flexibility. [14.05.2019]. Internet Link: https://www.mayoclinic.org/healthy-lifestyle/fitness/in-depth/stretching/art-20047931
- ✔ Taft, L. (2019). 6 Amazing Exercises that Improve Athletic Speed. [23.04.2019]. Internet Link: https://athletesacceleration.com/6-amazing-exercises-improve-athletic-speed/

გამოყენებული ლიტერატურის დამოწმება უნდა მოხდეს ძირითად ტექსტში (ციტატის/პერიფრაზის ბოლოს). ფრჩხილებში უნდა დაიწეროს ავტორის გვარ(ებ)ი, გამოყენებული ლიტერატურის გამოცემის წელი და გვერდი. მაგ: (Kenney, Wilmore, Costill, 2021, 154) ან (Taft, 2019, 27) და ა.შ.

სამაგისტრო ნაშრომი აიგება APA-ს სტილის მიხედვით.